

## ლალი დათაშვილი

“ყვავილი აქაც ჰყვავისა...”

(სოციალური სამართლიანობის იდეა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში)

ვაჟა-ფშაველა, ერთი დიდი ქართველი, “ბადალი მთელი ხმელეთისა”, “სამყაროს სხვა თვალზე მნახველი”, მთელი თავისი შემოქმედებით ქადაგებს ადამიანის სიყვარულს, სამართლიანობასა და გაჭირვებულის თანადგომას.

მკითხველში თანაგრძნობის აღძვრა სურდა მწერალს თავისი მოთხოვობების ჩაგრული და სამყაროულ უსამართლობაში გამოსრესილი პერსონაჟების მიმართ. ია ხომ პატარა და საცოდავი ადამიანის სიმბოლოა, მოკლე სიცოცხლის უამით; შვლის ნუკრი ბედისაგან დაბრიყვებული და ადამიანთა სისასტიკით გულმოკლულია; კეთილი მთის წყარო ბოროტების სიძლიერესა და დაუნდობლობას ჩაჰურებია; ხმელი წიფელი სიბერის ტრაგედიით დაგვადარდიანებს და იმ ადამიანებს წარმოგვადგენინებს, უამრავი სიკეთე რომ აქვთ გაკეთებული ახალგაზრდობისას, მოხუცები კი არა მარტო ადარავის ახსოვს, “ნეტავ შენ არ გვაუშნოვებდეო”, ისინი ეუბნებიან, ადრე მათ მიმართ მისი მხრიდან გამოჩენილი უმცირესი ყურადღებითაც კი რომ იამაყებდნენ; ფესვები – უფუნქციოდ დარჩენილი შვილმკვდარი მშობლები თავისი საწუხარით გულგრილს არავის ტოვებენ...

ვაჟა-ფშაველა, როგორც პოეტი, თავის უმთავრეს მისიად “საწყალთ საწყლობაზე” წერას მიიჩნევდა, ხოლო როგორც კაცი, – ჩაგრულთა თანადგომას, თავისი ლუკმის “ბეჭავთათვის გაზიარებას” (“სიმდერა”).

“ჩემს ვედრებაში”, რომელიც მისი პოეტური მრწამსია, ამიტომაც წერს:

“ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო

დაჩაგრულების მცველადა...

მაშრომე საკეთილოდა,

თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი...

გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,

მნათობს ტრფობისა შეშითა...

მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,

ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი!”

ამ სამყაროში ცხოვრების სწორ წესს მინდია-გველისმჭამელი ჩასწვდა, როცა “გამეცნიერდა გლეხი”; როცა “ახლად სული ჩაედგა, გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუვს გაეხსნა. სწორედ “უფლისგან მიმადლებული დიდი ცოდნითა და ძალით” განგვრიტა, რომ დედამიწაზე არსებობის უფლება ყველასა და უველავერს აქვს, არაფერია “ურჯულო”, რადგან ყოველივე უფლისგანაა შექმნილი და შემოქმედი სიყვარულსა და გულის სითბოს მთელი სამყაროსთვის უშურველად იმეტებს.

სწორედ ამას გვასწავლის მათე მახარებელი, როდესაც უფალს გვისახავს გარესამყაროსთან დამოკიდებულებისათვის მასაბაძ მაგალითად:

“მზე მისი აღმოვალს ბოროტოა ზედა და კეთილთა და წვიმს მართალთა ზედა და ცოდვილთა” (მათე 5, 45).

ადამიანი ამ სიბრძნით თუ არ ცხოვრობს, სამყაროს ამახინჯებს, ნებას უზღუდავს, თავისუფლებას ართმევს სხვა არსებებს, უსპობს მათ ბედნიერებასა და სიცოცხლეს, რისთვისაც პასუხს აგებს იმ და ხანდახან ამ სოფელშიც.

ამიტომაცაა, რომ მინდია, “ცხოვრების მაგალითად ბრიყვებს რომ ისახავს”, უფლისთვის არასათხოდ იქცევა, “რწმენასთან მელაობს”, “წმინდა რჯულს ყიდის” და კარგავს კიდევ თავის ნიჭს, მწარედ მოთქვამს:

“ან აქ რა პირით ვიცოცხლო?  
თავს რით ვიმართლებ დმერთოთანა?  
ყველასთან შარცხვენილი გარ –  
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა”.

მინდიამ დაარღვია ამ სამყაროში ცხოვრების წესი: სულიერ-უსულოს სიყვარული, პატივისცემა, დანდობა; თვითონაც ვერ აღასრულა ის, რასაც სხვებს უქადაგებდა და ამის გამო დაისაჯა.

ლექსში “ადამიანი” დედის ლოცვა-მუდარას შეისმენს უფალი. მის მიერ გაგზავნილი კაცი თუ ანგელოზი ზღვაში დახრჩობისაგან დაიხსნის პატარას და მადლობის გადახდას ჩვილის დედას ამგვარად სთხოვს:

“ასწავლე მოყვასის შველა,  
როს სჭირდეს რამე სენია,  
რჩევა მოყვასთა საშველად  
ხშირ-ხშირად მიუძღვენია;  
კეთილის ჩასაგონებლად  
შენამც ნუ მოგიწყვინია.”

ადამიანთა ქცევით: “ერთმანეთის ჭამით, ჟლეტით, სისხლისა და ცრემლის ღვრით” – შეწუხებული კლდეც კი ენას ამოიღგამს და სიყვარულს ქადაგებს:

“გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი.”

თანამოძმის შეწევნასა და სიყვარულს ამქვეყნიური ცხოვრების ნუგეშად, არსებობის გამართლებად და უფალთან წარსადგომ სიქველედ მიიჩნევს პოეტი:

“ მე არ ვუთხარე მოძმესა ორმო,  
მთხოველი შევმურე კუპრით და ლაფით;  
არვის გაგტაცე მე ლუკნაპური,  
სხვასაც გავუყავ ნაშოვნი ჯაფით.” (“ნუგეში მგოსნისა”).

ვაჟა “ბიჭობადაც” სხვის შეწუხებლად ცხოვრება-არსებობასა და

გაჭირვებულის თანადგომას თვლის:

“არც ის მგონია ბიჭობა,  
ვისაც ერეგი, ახრჩობდე,  
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,

რომ სხვის დამრჩვალსა სწამლობდე”. (“ის კი არი ბიჭობა”).

ადამიანების ურთიერთპატივისცემას, დანდობას, შეწყნარებას გვასწავლის ვაჟა “სიმღერაში”. ეს ლექსი იმ ადამიანთათვის გაცემული პასუხია, თავის სიმართლეს ერთადერთად რომ მიიჩნევენ და ყოველივე განსხვავებული აღიზიანებთ. პოეტი სხვადასხვაობას ბუნებრივ მოვლენად თვლის წუთისოფელში და ყველას მოუწოდებს, პატივი სცეს სხვის მდგომარეობასა თუ მრწამსს, რადგან არავინ იცის, ვინ უფრო სათხოა უფლისათვის:

“მე რო ტირილი მეწადოს,  
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა...  
ერთი იცინის, სხვა ტირის,  
ასეთი არის ქვეყანა...  
მაგრამ გაიგებო ერთხელაც.

ვინ ახლო ვსდგავარო ღმერთთანა.”

მწერალი წუხს, რომ საკუთარ ნაჭუჭმი ჩაკეტილ, თანაგრძნობის სურვილმოკლებულ ადამიანებს სხვისი გასაჭირი არ აინტერესებთ:

“ტანჯულს თვით ესმის თავისი ტანჯვა,  
მას ვერ მისწვდება გრძნობები სხვისი.”

“სვინდისი” ადამიანთა გულების გაქვავებისა და მათი ურთიერთდაშორების, ურთიერთგაუცხოების მიზეზად სამყაროში სიძულვილისა და სიკვდილის შემოტანას თვლის. კაენის მიერ აბელის მკვლელობაა მოძალადეობის, სიძულვილის, უსამართლობის, ღმრთის მცნებების უარყოფით “ეშმაკო მოდგმის სიხარულის” დასაწყისი დედამიწაზე.

მოთხოვთა “სვავი” წარმოგვიდგენს, თუ როგორ ხდება კათარზისი ლეშიჭამიას გულში. ბულბულის გალობა, მისი სიტყვები და ვედრება აატირებს სვავს, “სხვისი ცრემლით თავის მასაზრდოებელს, სხვის საფლავზე მოკიუნეს”. მას “წუწიანს თვალებზე ორი ცრემლი მიეკრობა, დაღვრემილია”, როდესაც ისმენს ბულბულის მუდარას:

“წყარონო, ნუ დაივიწყებო, თქვენი ჭირიმე, უკანასკნელ მატლს, უკანასკნელ ჭიას, რადგან იმასაც სიცოცხლე სწყურია...”

მზეო, გაახარე ყველა შენის მადლიანის სხივით”.

ამ ლოცვით მწერალი გვასწავლის, რომ ყველაფერი უფლის შექმნილია, ყველას აქვს ამ სამყაროში ცხოვრების თანაბარი უფლება. ეს არის საუფლო სამართალი, ხოლო ვინც ამ წესს არ ემორჩილება, არის “უმსგავსი, უმადლო, უკეთური”.

მოთხოვთაში “დედამიწამ რა სთქვა?” ჩემი პლანეტის ვედრებაა გადმოცემული, რომ მისმა შვილებმა გაიხარონ, ყველა ბედნიური იყოს. ამიტომ მიმართავს მთელ კაცობრიობას:

“ადამიანნო! თუ მე დედა ვარ და თქვენ – ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ, როგორც ძმები?..”

ვიტანჯე დიდხანს, მინდა დავისვენო, მინდა გავიხარო დღეს, მინდა ვნახო, რომ ძმა ძმას აღარ სჩაგრავს უსამართლოდ.”

ვაჟას აზრით, თანამოძმის შეურაცხეყოფა, მასთან უსამართლოდ მოქცევა, მისი დაჩაგვრა თუ მოკვლა იგივე კაციჭამიობა, ანუ ადამიანის “გადევებაა”. დევი – ეშმა მიირთმევს კაცის ხორცს, ხოლო ადამიანი თანაგრძნობითა და თანადგომით უნდა ეკიდებოდეს ძმას, თუ არ სურს, რომ ჯოჯოხეთისთვის გაიწიროს და ამ წუთისოფლის გზა-საგალის სწორად გაკვლევას ცდილობს. ეს ფიქრია გადმოცემული ლექსში “დევების ქორწილი”. დევები მხიარულობენ და ქორწილში ადამიანის ხორცს მიირთმევენ, თან მიპატიუებულ სტუმრებსაც აძალებენ ჭამას. თავზარდაცემულია ლექსის ლირიკული გმირი:

“ძმის ხორცი როგორა ვჭამო?!”

და მწარედ შენიშვნავს:

“უსმელ-უჭმელად გავმეხი,  
ყელშიაც ამომდიოდა”.

ჩვენი აზრით, მწერალი წუთისოფლის სტუმარ ყოველ კაცს სიმბოლურად მიიჩნევს დევების ქორწილში მიპატიუებულად, რადგან მას ყოველ ნაბიჯზე ელოდება თანამოძმესთან უხეშობისა და მისი სიტყვითა თუ საქმით მკვლელობის საცდური.

ნიშანდობლივია, რომ ალუდა ქეთელაურსაც ადამიანის წვენ-ხორცს მიართმევენ სიზმარში, რათა მიხვდეს, რომ “გადევების” თავიდან ასაცილებლად თვითონაც უნდა უარყოს კაცის კვლა და თანატომელებსაც უნდა უქადაგოს მტრობით განადგურებულის სიყვარულით აშენების, “დედის ნაშობისა და გაზრდილის” “ლამაზ ძმად” მიჩნევის აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასპარეზი კაცობრიობის იმ ნაწილს დარჩება, ღმრთის შვილებს საზოგადოების ხორცმეტებად რომ აღიქვამს, სიყვარული ზედმეტ ბარგად რომ მიაჩნია, გაყინული გულითა და ტვინით რომ ცხოვრობს. მათ შესახებ ამბობს მწერალი:

“ისე მოკვდება, ვერ შედგეს  
ერთ წამს ტრფობისა მთაზედა,  
საზარელია დადგომა  
უგრძნობელობის გზაზედა” (“ბახტრიონი”).

ურთიერთდანდობა და ძმისთვის ხელის წაშველება მაცხოვრის სწავლების გათვალისწინება და აღსრულების მცდელობაა:

“ვითარცა-იგი თქუენ გნაბავს, რაითა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ” (ლუკა 6, 31).

ვაჟას სწამს, რომ ეს სამყარო კარგ გულებზე დგას, რომელთა სიკარგე სიყვარულის უნარით განიზომება. ამ გულების უმცირეს ნაწილშიც კი ანთია მოყვასის სიყვარულის ცეცხლი, რომელიც ბრიალებს გაჭირვებულისა და უსამართლოდ დაჩაგრულის თანადგომისა და თანალმობის სურვილით:

“მრწამს, ფერფლნი კარგის გულისა  
ქარმ რო გაფანტოს ხმელადა,  
თვითოში მაინც ენთება  
ტიალ-სურვილი ცხელადა, –  
ავის მჩაგრავად, კეთილის  
მუდამ იქნება მცველადა,  
ბერავის, გაჭირვებულის  
მომხმარედ, მეშველად, მხსნელადა.  
კარგს გულს არა ჰქლავს ბუნება,  
თან დააქვს ძველისძველადა!” (“მრწამს. მარად მიწამებია”).

მოთხოვთა “უძმოს ძმის” მთავარი გმირი – ჩალხო, ყველა გაჭირვებულის დამხმარე და ნუგეში, ღირსეული კაცის განზოგადებული სახეა. მისი მეტსახელი “უძმოს ძმა” კეთილშობილების გამოხატვის უმნიშვნელოვანეს გზას გვიჩვენებს – უძმოს, ობლის, დაუცველის, უნუგეშოს მიხედვა და დახმარება. ჩალხოს აზრით, კაცობა ტანჯულისა და უქონელ-უპოვრის შეწევნაა.

მრავალმხრივია ვაჟას გაზაფხული – ანუ ბედნიერი მომავლის ხატი. პოეტი სასუფეველს, ნამდვილ ნეტარებას, ყოველგვარი პრობლემის მოგვარებას ნატრობს

დედამიწაზე: “აღარვინ იტანჯებოდეს”, აღარც ვინმეს სციოდეს თუ შიოდეს, სიმართლემ გაიმარჯვოს, ყველა ხარობდეს, “ჩვენ, მსხვერპლი ძალმომრეობის ცრემლს აღარ ვდვრიდეთ მწარესა”... (“კიდევაც ვნახავ გაზაფხულს”), რუსთველის თქმისა არ იყოს, თხაც ბედნიერი იყოს და ცხვარიც.

დიდი ფშაველი თავს მხოლოდ მაშინ იგრძნობს მშვიდად და ლალად, როდესაც საწყალი და უბედური აღარავინ იქნება ამქვეყნად, ამ საოცარი ბედნიერების მახარობელი უფლის არწივი დაიყაშეაშებს, ვაჟა კი ბანს ეტყვის:

“სიმართლის გამარჯვებასა

მთიდან არწივი ყიოდეს,

და მეც ბანს ვეუბნებოდე,

გული აღარა მტკიოდეს!”

ამით მცირე სევდას გვიტოვებს პოეტი. რადგან ვხვდებით, რომ შეუძლებელია ასეთი ყოველმხრივი ბედნიერებისა და ჭეშმარიტი თანასწორობის დრო ოდესმე დადგეს დედამიწაზე. არადა, ესაა ვაჟას ოცნება და მისი წარმოდგენა უხინჯოდ ბედნიერ სამყაროზე.

ლალი დათაშვილი